186
1981/2
(50)
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1981 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17.087

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1981 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

55. აკადემიკოს კ. კ. მარჯანიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული ბაგირგზების კვლევის, დაპროექტების, დანერგვის, ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს (საქმთავარბაგირგზა) საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად (საქსახსპეცტრანსი) გარდაქმნის შესახებ.
57. რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეთა 5-დღიან სასწავლო კვირაზე ცდის წესით გადაყვანის შესახებ.
58. ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკების პრემირების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



60. დასავლეთ ყაზახეთში ნავთობისა და გაზის საბადოთა ძიებისა და დაზვერვის სამუშაოებზე გაგზავნილი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მუშებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ

61. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

62. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

63. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

64. საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ.

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26აპრილისდადგენილებებისდამტკიცები შესახებ.

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის დადგენილების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 55 აკადემიკოს კ. კ. მარჯანიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი მათემატიკოსის, სოციალისტური შრომის გმირის აკადემიკოს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს კ. კ. მარჯანიშვილის სახელი ქალაქ ყვარლის რუსულ საშუალო სკოლას.

2. დაწესდეს აკადემიკოს კ. კ. მარჯანიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დადგას აკადემიკოს კ. კ. მარჯანიშვილის საფლავზე განსვენებულის ძეგლი.

4. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ახალ ქუჩას აკადემიკოს კ. კ. მარჯანიშვილის სახელი.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1981 წ. 7 ივლისი, № 507

## 56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული ბაგირგზების კვლევის, დაპროექტების, დანერგვის, ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს (საქმთავარბაგირგზა) საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად (საქსახსპეცტრანსი) გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში კიდული ბაგირგზებისა და სხვა სახეობათა უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის (კონვეიერული, მონორელსიანი, მილსადენი პნევმოკონტეინერული და ჰიდრავლიკური) შექმნის, სახალხო მეურნეობაში ფართოდ დანერგვისა და მომსახურების სამუშაოთა ერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას მისცემს განთავისუფლდეს საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტი მოკლე მანძილებზე მგზავრთა გადაყვანისა და მრეწველობის დარგებში, სოფლის მეურნეობასა და კომუნალურ მეურნეობაში ტვირთების არარაციონალური გადაზიდვისაგან, და ამ სახეობათა ტრანსპორტის შემდგომი კომპლექსური განვითარების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული ბაგირგზების კვლევის, დაპროექტების, დანერგვის, ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო (საქმთავარბაგირგზა) საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად (საქსახსპეცტრანსი).

საკითხი წარედგინოს განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა მინდობილი დარგის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დონისათვის, აგრეთვე უწყვეტ სახეობათა სპეციალურ ტრანსპორტზე, მისი ავტომატიზაციის საშუალებებსა და სისტემებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტს სატვირთო-სამგზავრო და სამგზავრო კიდული ბაგირგზების, მილსადენი პნევმოკონტეინერული და სხვა პროგრესულ სახეობათა უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის ყოველმხრივი განვითარების, მათი კვლევის, დაპროექტების, მშენებლობის, მონტაჟის, რემონტის, გამართვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად ერთიანი ტექნიკური ხელმძღვანელობის ფუნქციები, აგრეთვე უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის (საბაგირო, კონვეიერული, მონორელსიანი, მილსადენი პნევმოკონტეინერული და ჰიდრავლიკური) და მისი ტექნოლოგიური პროცესების (ტრანსპორტირება, დატვირთვა, გადმოტვირთვა) ავტომატიზაციის სისტემების შექმნისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-ორგანიზაციებისათვის მოქმედ, მშენებარე და სარეკონსტრუქციო ობიექტებზე მათი დანერგვის სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო და გასაშვებ-გასამართავ სამუშაოთა კომპლექსური შესრულების, აგრეთვე აღნიშნულ სახეობათა ტრანსპორტისათვის კადრების მომზადების ერთიანი შემკვეთისა და მთავარი ორგანიზაციის ფუნქციები.

დაწესდეს, რომ ზემოაღნიშნულ უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს სსრ სპეციალური ტრანს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს შესაბამის სამშენებლო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტს და ტრანსპორტის სპეციალურ სახეობათა და მათი ავტომატიზაციის სისტემათა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტს „ტრანსავტომატიკას" უნარჩუნდებათ ის ფუნქციები, რაც დაეკისრათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული ბაგირგზების კვლევის, დაპროექტების, დანერგვის, ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს და ზემოაღნიშნულ ინსტიტუტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 20 მაისის № 409 დადგენილებით „ტრანსპორტის სპეციალურ სახეობათა და მათი ავტომატიზაციის სისტემათა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის („ტრანსავტომატიკა") შესახებ".

5. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტმა:

— მიიღოს თავის ბალანსზე დადგენილი წესით მფლობელ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით რესპუბლიკის ყველა მოქმედი სამგზავრო და სატვირთო-სამგზავრო კიდული ბაგირგზა (გარდა ტექნოლოგიურისა) მთელი მოწყობილობით, სარემონტო-საექსპლუატაციო საშუალებებითა და შენობა-ნაგებობებითურთ.

— განახორციელოს სამრეწველო ექსპლოატაციაში არსებული საუწყებო (ტექნოლოგიური) სამგზავრო, სატვირთო-სამგზავრო და სატვირთო კიდული ბაგირგზების, პნევმოკონტეინერული დანადგარებისა და სხვა უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (ტექნიკური ექსპლუატაციის, რემონტისა და გამართვის) სამუშაოები შესაბამის მფლობელ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე;

— ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კომიტეტის ცენტრალურ აპარატსა და მის საქვეუწყებო ორგანიზაციებში საჭირო ქვედანაყოფების, აგრეთვე შესაბამისი საწარმოო და საექსპლუატაციო ბაზების შექმნის შესახებ.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშაონ უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის დარგებში დანერგვის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ასლი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ ყოველწლიურად საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და დაფინანსების სახსრების გამოყოფა, რაც საჭიროა კიდული ბაგირგზებისა და სხვა უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის განსავითარებლად.

8. ეთხოვოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს, მოყოლებული 1982 წლიდან, ცალკე სტრიქონად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ და პერსპექტიულ სახელმწიფო გეგმებში კაპიტალურ დაბანდებათა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და დაფინანსების გამოყოფა, რაც საჭიროა სხვადასხვა უწყვეტი სახეობის სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების განსავითარებლად.

9. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს კომიტეტის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, დებულება და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 4 აგვისტო, № 566

## 57 რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეთა 5-დღიან სასწავლო კვირაზე ცდის წესით გადაყვანის შესახებ

(ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი)

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ქ. თბილისის ლენინის რაიონის და თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად 1981-1985 წლებში განახორციელოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ ცდის სახით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელი და I-III კლასების მოსწავლეები გადაიყვანოს ხუთდღიან სასწავლო კვირაზე (ორი დასვენების დღით). ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის პირობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნის მიზნით განაგრძოს 6 წლის ბავშვების სწავლებაში ჩაბმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ კლასებში და შემოიღოს იგი სკოლამდელ დაწესებულებათა უფროს (მოსამზადებელ) ჯგუფებში.

განახორციელოს აღნიშნული ღონისძიებანი იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ქ. თბილისისა და თელავის რაიონის ბიუჯეტებით სახალხო განათლების სფეროში ღონისძიებებისათვის.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ განსაზღვროს ამ ღონისძიებათა განხორციელების წესი და თანამიმდევრობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში. აღნიშნულმა სამინისტრომ საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლგრაიფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს კლასები და ჯგუფები სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და მეთოდიკური მასალებით, ამასთანავე გაითვალისწინოს მათი შეცვლა ხუთდღიან სასწავლო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

3. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ ქართულ სკოლებში დამატებით სწავლობენ რუსულ ენას, ხოლო არაქართულ სკოლებში — ქართულ ენას, დადგინდეს სასწავლო დატვირთვა მოსამზადებელ კლასებში — კვირაში 20 საათი, I-III კლასებში — 23 საათი.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად თვალყური ადევნოს იმ ბავშვების ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების მდგომარეობას, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითს კლასებში და სკოლამდელი დაწესებულებების მოსამზადებელ ჯგუფებში სწავლობენ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 1985 წელს წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითს კლასებში მოსწავლეთა 5-დღიან სასწავლო კვირაზე გადაყვანისა და 6 წლის ასაკიდან ბავშვთა სწავლების შემოღების შედეგების შესახებ იმ მიზნით, რომ წარედგინოს ეს მოხსენება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**გ. კოლბინი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 4 აგვისტო, № 575

## 58 ვლადიმერ მაიაკოვსკის პრემიის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის ორი ყოველწლიური პრემია თითოეული 1000 მანეთის ოდენობით არსებული ერთი ყოველწლიური პრემიის ნაცვლად;

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი „დებულებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ“ (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 მარტის № 248 დადგენილება).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 11 აგვისტო, № 590

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი

### 59 საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 7 ივლისი, № 468.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 7 ივლისის № 468 დადგენილებით

## დებულება

### საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 123-ვლ დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირების ტიპობრივი დებულების შესაბამისად.

დებულება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებით — წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, ჩაის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

## I. პრემირების მაჩვენებლები და პირობები

1. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს (გაერთიანების უფროსს, მთავარ ინჟინერს, გაერთიანების უფროსის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს), ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემიები მიეცემათ მოცემულ კვარტალში უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების, პროდუქციის რეალიზაციის, მოგების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით დაწესებული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, № 1 დანართის თანახმად.

2. ამ დებულების 1-ლ პუნქტში აღნიშნული რომელიმე ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია არ გაიცემა.

როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ნება დართოს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ხელმძღვანელს მისცეს პრემიები ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაკებს მათთვის დაწესებულ დავალებათა შესრულებისათვის. ამასთან პრემია არ შეიძლება აღემატებოდეს პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის დაწესებული ოდენობის 50 პროცენტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების საკითხი საანგარიშო კვარტალში ცალკეულ სახეობათა პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევებში, თუ ამ სახეობათა ნომენკლატურის პროდუქცია დამზადდა და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოიხსნა წარმოებიდან მომხმარებლის (შემკვეთის) მოთხოვნით, რაც დადასტურებულია სსრ კავშირის კვების

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

3. ამ დებულების 1-ლ პუნქტში გათვალისწინებულ პრემირების მაჩვენებლებთან ერთად საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დაწესდება პრემირების დამატებითი პირობები, რაც აღნიშნულია № 1 დანართში.

გაერთიანების ცენტრალური აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემირების დამატებით მაჩვენებლებს დააწესებს გაერთიანების უფროსი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გაერთიანების მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ ამ მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების დონის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

4. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულება დადებული ხელშეკრულებების (შესასრულებლად მიღებული ხელშეკრულებების) შესაბამისად გათვალისწინებული ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურით. პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები ჩამოერთმევათ მთლიანად ან ნაწილობრივ. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, მისი მიწოდების გეგმის შეუსრულებლობის ზღვრული პროცენტები ხელშეკრულებათა შესაბამისად, როცა მუშაკებს მთლიანად ჩამოერთმევა პრემიები, დამტკიცდება ყოველწლიურად საქვეუწყებო ორგანიზაციების მიხედვით ამ პროცენტების საშუალო სიდიდის გათვალისწინებით. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულება ხელშეკრულებათა მიხედვით მიწოდების გათვალისწინებით შეფასდება საქვეუწყებო საწარმოების მიერ ამ მაჩვენებლის დავალებათა შესრულების კვალობაზე (სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ფორმა № 1-პ).

თუ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმარშესრულება მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით ზღვრულ პროცენტზე ნაკლებია, პრემიები შემცირდება სკალის მიხედვით № 2 დანართის თანახმად.

## II. პრემირების წყაროები და პრემიების ოდენობა

5. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება ხორციელდება მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც იქმნება საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში.

პრემირების სახსრები გამოიყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით სსრ კავშირის კვების მრეწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის სამინისტროსთან და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით (მთლიანად გაერთიანებაში მატერიალური წახალისების საერთო ფონდის პროცენტულად).

6. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების ოდენობა დაწესდება ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მოცემულ წელს დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად. პრემირებას არ შეიძლება მოხმარდეს სახსრები, რომლებიც დამტკიცებული ნორმატივის შესაბამისად უნდა გამოეყენებინათ ამ მიზნით წინა წელს, მაგრამ არ დაუხარჯავთ დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა და პრემირების პირობების შეუსრულებლობის გამო.

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" მმართველობის ხელმძღვანელ მუშაკთათვის პრემიების ოდენობას დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიების საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

გაერთიანების ცენტრალური აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემიების ოდენობას დააწესებს გაერთიანების ხელმძღვანელი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის პრემიების ოდენობის დაწესებისას გათვალისწინებულია საგეგმო მაჩვენებლების დაძაბულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის ეკონომია.

პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის ოდენობა განისაზღვრება გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის დამატებით შემოსული (დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით) სახსრების ფარგლებში.

7. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები შემცირდება დარიცხული თანხის 1 პროცენტით გაერთიანების საქვეუწყებო ყოველი იმ საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია დავალებანი მისთვის დაწესებული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით და პრემირების პირობები (რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, მოგება, შრომის ნაყოფიერების ზრდა).

ასეთივე წესით საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ხელმძღვანელს შეუძლია შეუმციროს პრემიის ოდენობა ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოებმა შეასრულონ საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით მათთვის დაწესებული დავალებანი.

გეგმის შესრულების ფაქტიური დონის შესაბამისად შემცირების მხრივ მისი კორექტირებისას გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკებს ჩამოერთმევათ სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის კუთვნილი პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არანაკლებ 50 პროცენტისა.

8. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს მთლიანად გაერთიანების ხაზით წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით გამოანგარიშებულ შრომის ნაყოფიერების ზრდას, გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად დარიცხული პრემიების ოდენობა შემცირდება 1 პროცენტით (პუნქტით) შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით საშუალო ხელფასის ზრდის ყოველ პროცენტში.

9. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას გაერთიანების ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის, დარიცხული პრემიები არ მიეცემათ. ამასთან გაერთიანების ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც გაერთიანების საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის (ეკონომიის) თანხა.

თუ გაერთიანების ხაზით დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება ექვს თვემდე ვადაში, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ მათთვის დარიცხული, მაგრამ ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით გაუცემელი პრემიის 50 პროცენტი.

იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ხაზით დაშვებულია ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დამდეგიდან გასულ პერიოდში მიღწეულია საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად, მმართველობის აპარატის მუშაკებს დარიცხული პრემიები მიეცემათ მთლიანად.

ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხიმგებელ პირებს მიეკუთვნებიან მუშაკები, რომელთა თანამდებობები ჩამოთვლილია № 3 დანართში.

10. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" მმართველობის მუშაკთა პრემირება ხდება ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება ამ დებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაწესებული პრემირების ძირითადი მაჩვენებლების დავალებანი. ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია, რომელიც უნდა გაიცეს წლის შედეგების მიხედვით, შემცირდება 50 პროცენტამდე.

11. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ცენტრალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი აპარატის მუშაკები შეიძლება პრემირებულ იქნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. პრემიები ამ დავალებათა შესრულებისათვის გაიცემა იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოყოფილია გაერთიანების უფროსის განკარგულებაში მუშაკთა პრემირებისათვის. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის პრემიის ოდენობა ერთ მუშაკზე არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

გაერთიანების ხელმძღვანელს შეუძლია მისცეს ერთდროული პრემიები (წელიწადში ერთი თვის სარგოს ოდენობით) გაერთიანების მუშაკებს, რომლებმაც უზრუნველყვეს შჩეკინოელთა მუშაობის მეთოდის წარმატებით დანერგვა საქვეუწყებო საწარმოებში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდება.

12. ამ დებულების მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს სამი თვის თანამედებობრივ სარგოს წელიწადში.

### III. ზოგადი დებულებანი

13. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ მუშაკებისათვის პრემიების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

14. მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ თანამდებობრივ სარგოზე ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

15. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში შესვლასთან, პენსიაზე გადასვლასთან, შტატების შემცირებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

16. პრემიებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის დაამტკიცებს:

— საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ მმართველობის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ დანარჩენი მუშაკებისათვის — გაერთიანების ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის დაამტკიცებს გაერთიანების ხელმძღვანელი, ხოლო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანების ხელმძღვანელ მუშაკთათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

17. საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ხელმძღვანელს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია გაადიდოს ამ დებულების მე-12 პუნქტში აღნიშნული საერთო ოდენობის ფარგლებში ან შეამციროს მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა.

მუშაობაში არსებული ხარვეზებისათვის საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაი" მმართველობის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ.

ცალკეულ მუშაკებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემიები ანგარიშგების წამატებისა და დამახინჯებისათვის სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1975 წლის 8 აგვისტოს № 13/19 განმარტება).

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" მმართველობის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიის ოდენობას გაადიდებს (შეამცირებს) ან პრემიას ჩამოართმევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

18. ამ დებულების მე-5 და მე-10 პუნქტების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

* * *

ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ცენტრალური აპარატის მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის, საზღვარგარეთ გასაყიდად საბჭოთა გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ლიცენზიების დასაპატენტებლად და მოსამზადებლად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ მუშაკებს პრემიები სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით, აგრეთვე გასამრჯელო წლიური მუშაობის საერთო შედეგებისათვის არ მიეცემათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 7 ივლისის № 468 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 1

## ნუსხა

### საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების მაჩვენებლებისა და პირობებისა

| თანამდებობის დასახელება | პრემირების მაჩვენებლებისა და პირობების დასახელება |
|---|---|
| საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი, გაერთიანების უფროსის მოადგილეები, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი | **პრემირების ძირითადი მაჩვენებლები**<br>დამტკიცებული მაჩვენებლის მიხედვით გამოანგარიშებული შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის, მოგების გეგმის შესრულება; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ძირითადი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის პროგრამებში, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის გეგმაში გათვალისწინებული ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის გეგმის, უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის პროდუქციის (პირველადი გადამუშავების ჩაი, ნატურალური (ხარისხოვანი) დაფასოებული ჩაი, ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სამარაგო ნაწილები) წარმოების გეგმის შესრულება.<br>პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულება.<br>შრომის ნაყოფიერების ზრდის კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულება.<br>მოგების კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულება. |
| საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი, გაერთიანების უფროსის მოადგილეები, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი | **პრემირების დამატებითი პირობები**<br>კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმის შესრულება, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება და ათვისება დაწესებულ ვადებში.<br>სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემცირება.<br>არამწარმოებლური ხარჯების შემცირება.<br>სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის შემცირება და სხვ. |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 7 ივლისის № 468 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 2

# სკალა

## საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" მუშაკთათვის პრემიების ოდენობის შემცირებისა პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმარშესრულებისათვის

| მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმარშესრულების პროცენტი | პრემიის ოდენობის შემცირების სკალა (პროცენტი) |
|---|---|
| 0,9-მდე | 10 |
| 1,0-დან 1,9-მდე | 22 |
| 2,0-დან 2,9-მდე | 35 |
| 3,0-დან 3,9-მდე | 50 |
| 4-დან და მეტი | პრემია არ გაიცემა |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

მუხ. 59
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 7 ივლისის № 468 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 3

17087

## ნუსხა

**საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ მუშაკთა თანამდებობებისა, რომელთაც არ მიეცემათ პრემიები ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით**

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი

საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსის მოადგილეები

საგეგმო-ეკონომიკური, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილებათა უფროსები

მთავარი ბუღალტერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 60 დასავლეთ ყაზახეთში ნავთობისა და გაზის საბადოთა ძიებისა და დაზვერვის სამუშაოებზე გაგზავნილი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მუშებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ყაზახეთის სსრ აქტიუბინსკის, გურიევისა და ურალის ოლქებში ნავთობისა და გაზის საბადოთა ძიებისა და დაზვერვის, მათი მოწყობისა და ათვისების, ნავთობისა და გაზის მრეწველობის ელექტრომომარაგების ობიექტების მშენებლობის, ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების, ნავთობისა და გაზის საბადოთა ექსპლუატაციის, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოებზე გაგზავნილი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მუშებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე (საცხოვრებელი ფართობის უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად) ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულების მთელი პერიოდისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 14 ივლისი, № 497.

## 61 საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 31 მარტის № 196 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1981 წ. 28 ივლისი, № 539.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი არის საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს სადარგთაშორისო მართვას ბუნების დაცვის დარგში, ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო წყლის რესურსების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის საკითხებში — აგრეთვე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, და პასუხისმგებელია გარემოს დაცვის მდგომარეობისათვის. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებით, საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით ბუნების დაცვის საკითხებზე, ამ დებულებით.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს რესპუბლიკური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

2. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

ეროვნული

— კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს სამინისტროების, უწყებების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელების საკითხებზე სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა და მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებას, ამასთან კოორდინაციას უწევს და აერთიანებს მათს ღონისძიებებს ამ მიმართულებით;

— მონაწილეობს გარემოს დაცვის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციაში, რასაც საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს;

— საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნასთან“ და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებასთან ერთად ფართო პროპაგანდას ეწევა მოსახლეობაში ბუნების დაცვის ცოდნის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და კვლავწარმოების საკითხებზე, მონაწილეობს საინფორმაციო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოშვებაში, კინოფილმების შექმნაში, რადიო და სატელევიზიო გადაცემათა ორგანიზაციაში;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად სრულყოფს ბუნების დაცვის დარგში სწავლა-განათლების მეთოდებსა და ფორმებს, ეფექტიანად, მიზანდასახულად და გეგმაზომიერად წარმართავს მუშაობას მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში ბუნების დაცვისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფორმებირებისათვის, ამასთან ორგანულად უხამებს ამ მუშაობას მათს ესთეტიკურ და პატრიოტულ აღზრდას;

— საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების საფუძველზე შეიმუშავებს და წარუდგენს დაწესებულ ვადებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გეგმის შეთანხმებულ პროექტებს წყლის განაყოფის მიხედვით (კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობისა და ბუნების დაცვის სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალებათა აღნიშვნით) მთლიანად რესპუბლიკისათვის, საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, აგრეთვე ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მიხედვით დავალებათა განაწილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ძეიმუშავებს წინადადებებს ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენების, აგრეთვე კვლავწარმოების შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— შესაბამის ორგანოებთან ერთად გასცემს სავალდებულო ძალის მქონე დასკვნებს იმ სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ყველა პროექტის გამო, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და გამოყენებასთან ან შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ გარემოზე, აერთიანებს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოების და ბუნების დაცვის სხვა სპეციალიზებული სამსახურების ღონისძიებებს ბუნების დაცვის ნაწილში მათი კომპეტენციის ფარგლებში;

— მონაწილეობს სახალხო მეურნეობის ობიექტების მშენებლობისათვის მოედნების შერჩევის, სამრეწველო და სხვა ობიექტების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის კომისიების მუშაობაში;

— შედის საწარმოო (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო) და საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების იმ ობიექტების (ასამუშავებელი კომპლექსების) საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოს მდგომარეობაზე;

— ქმნის ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე წინადადებათა და რეკომენდაციათა შესამუშავებლად კომისიებს, სამუშაო ჯგუფებს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, კომპეტენტური სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-საწარმოო ორგანიზაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და საქართველოს სსრ სხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტთა მონაწილეობით.

3. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სავალდებულო წესით წარუდგენენ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს შესათანხმებლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებარე და სარეკონსტრუქციო ყველა ობიექტის პროექტებს განსახილველად და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოზე მათი უარყოფითი გავლენის ნაწილში დასკვნის მისაცემად.

4. ლანდშაფტებისა და მიწის სავარგულების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ:

— სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე მოქალაქეებმა დაიცვან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები ბუნების დაცვის ნაწილში, მიწათსარგებლობის დაწესებული ნორმატივები სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა დაცვითი ზონებისათვის მიწის გამოყოფისას.

№ 4/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ძვირფასი ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნება;

— ოპტიმალურად გადაწყდეს შესათანხმებლად წარდგენილი მასალები არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოსაყოფად გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობისა და ფართობის შესახებ;

— მოიხსნას, შეინახოს და რაციონალურად იქნეს გამოყენებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა განხორციელებისას, აგრეთვე დროულად და სრულფასოვნად მოხდეს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისას, გეოლოგიურ-სადაზვერვო, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების შედეგად დარღვეული მიწების რეკულტივაცია;

— სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო მარაგის გამომუშავების კვალობაზე განთავისუფლებული მიწები მოყვანილ იქნეს სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის ან თევზის მეურნეობისათვის გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში, მიწის ნაკვეთების გამოყოფის დადგენილი წესის შესაბამისად;

— შესრულდეს მეწყრული, ზვავური და ღვარცოფული პროცესების, მდინარეთა ნაპირების და საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის ნაპირების წარეცხვის და სხვა მავნე მოვლენების თავიდან აცილების ღონისძიებათა კომპლექსი;

— ხარისხიანად შესრულდეს ნიადაგდაცვითი მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის, ფერდობების დატერასების, ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, კულტურტექნიკური სამუშაოები;

— განხორციელდეს ნიადაგების ეროზიის, დამლაშების, დაჭაობების, სამრეწველო საწარმოთა ნარჩენებითა და შხამქიმიკატებით, ჩამდინარი წყლებით მათი გაჭუჭყიანების, მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების, საძიებო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს მიწების სხვაგვარი გაფუჭების თავიდან აცილების ღონისძიებანი;

— წიაღიდან ამოღებული ფუჭი ქანები და წარმოების ნარჩენები ისე იქნეს განლაგებული, რომ გამოირიცხოს მათი მავნე გავლენა გარემოზე;

— სწორად დამუშავდეს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები.

5. წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის მიზნით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

— ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაიცვან წყლით სარგებლობის დადგენილი წესი, შეასრულონ გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან წყლის დაცვის, მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის, წყლის სახელმწიფო აღრიცხვის, გამოყენების წესებისა და სხვა იმ წესების დაცვის მოვალეობანი, რომლებიც დადგენილია

მეხ. 61
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების და საქართველოს სსრ წყლის კოდექსის შესაბამისად, ხოლო სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის რესურსების გამოყენებისა და განაწილების დარგში ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 ივნისის № 591 დადგენილებით დამტკიცებული წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმისადმი, რომ:

— საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, გემებმა და სხვა მცურავმა საშუალებებმა, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა დაიცვან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ბრძანებები და ინსტრუქციები წყლის გამოყენებისა და დაცვის საკითხებზე;

— რაციონალურად იქნეს გამოყენებული წყლის ობიექტები (მათი კომპლექსური გამოყენების მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით), დაცულ იქნეს ზედაპირული წყლები გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წყლის რესურსები იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც გადაცემულია გამოსაყენებლად;

— დაცულ იქნეს წყალსამეურნეო სისტემებისა და წყალსაცავების, აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებული ტბებისა და სხვა წყალსატევების ექსპლუატაციის წესები;

— უზრუნველყოფილ იქნეს საწმენდ ნაგებობათა და მოწყობილობათა მუშაობის ეფექტიანობა, აგრეთვე მტკიცედ იქნეს დაცული ჩამდინარი წყლების ჩაშვების წესი და პირობები;

— შესრულდეს წყალდაცვითი ნაგებობათა მშენებლობის საგეგმო დავალებანი და გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები, აგრეთვე შესრულდეს ჩამდინარი წყლების გაწმენდის მეთოდებისა და ტექნოლოგიის სრულყოფის გეგმები;

— დაცულ იქნეს წყალმოხმარებისა და წყლის ჩაშვების ნორმები და წესები, აგრეთვე წყლის გამოყენების დადგენილი რეჟიმი;

— დაინერგოს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში;

— საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ წყლის დაცვის ღონისძიებანი წყლის ობიექტების სანაპირო ზოლებში (ზონებში), აგრეთვე წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობა, დატბორვა, შეტბორვა, ნაპირების ნგრევა და სხვა მავნე მოვლენები) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა სწორად აწარმოონ წყლის ობიექტებიდან აღებული და მასში ჩაშვებული წყლის რაოდენობის პირველადი აღრიცხვა და განსაზღვრონ ჩაშვებული წყლის ხარისხი; უზრუნველყოფილ იქნეს წყლის მოხმარებისა და ჩაშვების აღრიცხვისათვის საჭირო მოწყობილობისა და აპარატურის არსებობა. შემოწმდეს მათი მდგომარეობა და დაცულ იქნეს ამ მოწყობილობისა და აპარატურის სახელმწიფო ატესტაციის დაწესებული ვადები.

7. წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

— გასცემს დადგენილი წესით ნებართვას სპეციალური წყალსარგებლობისათვის, მათ შორის ნებართვას სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარი წყლების ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობისათვის;

— სწავლობს განსახილველად წარსადგენ მასალებს სამშენებლო, ფსკერგასაღრმავებელ და აფეთქებელ სამუშაოთა, სასარგებლო წიაღისეულისა და წყლის მცენარეთა მოპოვების, კაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანის, ტყის ჭრის, აგრეთვე საბურღ, სასოფლო-სამეურნეო და წყლის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენ სხვა სამუშაოთა წარმოების შესახებ წყლის ობიექტებზე ან მათ სანაპირო ზოლებში (ზონებში), სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის განმხორციელებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანოების სათანადო დასკვნების გათვალისწინებით;

— განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ მეორეული წყალსარგებლობის პირობებს განცალკევებული სარგებლობისათვის მიცემულ წყლის ობიექტებზე;

— განსაზღვრავს წყლის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენი მოქმედი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარდგენით წყლის ობიექტებში ჩაშვებული ჩამდინარი წყლების გაწმენდის ფარგლებსა და არინების ლიმიტებს, აგრეთვე ამტკიცებს დადგენილი წესით ამ წყლის ობიექტებში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმებს.

— გასცემს დაინტერესებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის განმხორციელებელ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ ნებართვას ჩამდინარი წყლებით სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვისათვის;

— განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ ღონისძიებებს წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის, მონაწილეობს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების მუშაობაში.

8. საქართველოს სსრ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს, მის მოადგილეს, წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის უფროს სახელმწიფო ინსპექტორებსა და სახელმწიფო ინსპექტორებს (მათი კომპეტენციის ფარგლებში) უფლება აქვთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეაჩერონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის მიცემული სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არღვევენ წყლის სარგებლობისა და დაცვის წესებს, ან წყლის ობიექტს არ იყენებენ იმ მიზნის შესაბამისად, რისთვისაც არის იგი მიცემული გამოსაყენებლად;

— შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ ჩამდინარი წყლების ჩაშვება, თუ იგი ხდება დაწესებული მოთხოვნების დარღვევით, მათ შორის შეწყვიტონ ცალკეული სამრეწველო დანადგარების, საამქროების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობა და ამის შესახებ შეატყობინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და შესაბამის ზემდგომ ორგანოს;

— მიიზიდონ საჭირო შემთხვევებში სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო დაწესებულებანი, ლაბორატორიები და სხვა ორგანიზაციები შესაბამისი ანალიზების განსახორციელებლად და დასკვნების მისაცემად ავარიულ სიტუაციებში.

9. ტყეების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

— ამოწმებს მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის, ფერდობების დატერასების, ეროზიასაწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობის, კულტურტექნიკურ სამუშაოთა, მავნებლებისა და დაავადებებისაგან ბიოლოგიური მეთოდით ტყეების დაცვის, ხანძრისაგან ტყეების ავიადაცვის დარგში ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელების ხარისხს;

— საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე მოქალაქეებმა დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები ტყის დაცვის, ტყეებისა და სხვა მცენარეული რესურსების დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფის თაობაზე.

10. ფაუნის დაცვის მიზნით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

— ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე მოქალაქეებმა შეასრულონ კანონმდებლობის მოთხოვნები ფაუნის დაცვის თაობაზე;

— კონტროლს უწევს იმას, რომ სახელმწიფო ნაკრძალებმა განახორციელონ ბიოტექნიკური ღონისძიებანი გარეული ნადირისა და ფრინველის დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის;

— დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ამზადებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს რესპუბლიკაში ლანდშაფტური, სატყეო, ბოტანიკური, ზოოლოგიური, ორნითოლოგიური, იშვიათი ბიოლოგიური, პალეონტოლოგიური და სხვა სახელმწიფო ნაკრძალებისა და აღკვეთილების, ეროვნული პარკების შექმნის შესახებ, იძლევა დასკვნებს გადაშენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადი და იშვიათი ფაუნისა და ფლორის, აგრეთვე ბუნების ორგანული და არაორგანული ძეგლების სახელმწიფო დაცვის შესახებ;

— ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ თევზდაცვის ორგანოებმა და თევზმომპოვებელმა ორგანიზაციებმა შეასრულონ კანონმდებლობის მოთხოვნები ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და თევზის მარაგის კვლავწარმოების შესახებ.

11. ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

— საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოსთან და შესაბამის ორგანოებთან ერთად მონაწილეობს სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების და საჰაერო გარემოს გამაჭუჭყიანებელი სხვა ობიექტების მუშაობის შემოწმებაში და აღწევს, რომ განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების მიზეზების აღმოსაფხვრელად.

12. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ეძლევა:

— კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვლიოს საწარმოები, ორგანიზაციები, ექსპედიციები, საძიებო პარტიები, მშენებლობები, წყალსამეურნეო ობიექტები, საწყობები, ბაზები, აგრეთვე სხვა ობიექტები მათ მიერ ბუნების დაცვის ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის გამორკვევის მიზნით.

ამასთან კომიტეტის წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ შევიდნენ აღნიშნულ ობიექტებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, დაწესებული ფორმის სამსახურებრივი მოწმობის წარდგენით;

— მოსთხოვოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებს ანგარიშები, საინფორმაციო მასალები და მოისმინოს ინფორმაციები მათ მიერ განხორციელებულ ბუნების დაცვის ღონისძიებათა შესახებ;

— მიიღოს გადაწყვეტილებანი, მისცეს საწარმოთა, მეურნეობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, აკრძალოს ბუნების არაკანონზომიერი გამოყენება, რის შესახებაც აცნობოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

— აუკრძალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებს ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, აგრეგატების, კომუნალური ობიექტების, საშრობი, გამაწყლოვანებელი და სარწყავი სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ჭაბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღილების, კარიერებისა და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა მანამ, სანამ ისინი არ შეასრულებენ გარემოზე მათი მავნე გავლენის თავიდან აცილებისათვის პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებს; შეაჩეროს მოქმედი საწარმოების, საამქროების, აგრეგატებისა და სხვა ობიექტების მუშაობა, თუ მათ დაწესებულ ვადებში არ განუხორციელებიათ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამდინარი წყლების, მტვრის, გაზის და სხვა საწარმოო ნარჩენებისა და ამონაფრქვევების გაწმენდას და გაუვნებლებას;

— აუკრძალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს. უწყებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებს და ცალკეულ მოქალაქეებს ბუნებრივი რესურსების გამოყენება, თუ ისინი მათ იყენებენ არარაციონალური მეთოდებით, გარემოზე მავნე შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებათა განუხორციელებლად;

— შეაჩეროს, შევიდეს და დაათვალიეროს გემები და სხვა მცურავი საშუალებანი ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ან წყლის ობიექტების ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების და დაწესებული ნორმების გადამეტებით ამ ნივთიერებათა შემცველი ნარევების ჩაშვების ან დანაკარგების მიზეზებისა და გარემოებათა გამოსარკვევად; შეამოწმოს გემის დოკუმენტებში ამ ნივთიერებებისა და ნარევების ოპერაციათა რეგისტრაციის სისწორე, აგრეთვე მისცეს სავალდებულო მითითებანი გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

— დააკავოს გემები და სხვა მცურავი საშუალებანი, რომლებმაც უკანონოდ ჩაუშვეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან წყლის ობიექტების ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებანი და დაწესებული ნორმების გადამეტებით ამ ნივთიერებათა შემცველი ნარევები ან არ მიიღეს საჭირო ზომები მათი დანაკარგების თავიდან აცილებისათვის;

— შეადგინოს ოქმები ჩატარებულ შემოწმებათა, დათვალიერებათა და დაკავების შესახებ და დადგენილი წესით დააკისროს დამნაშავე პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეებისათვის.

14. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეწევა ფართო პროპაგანდას ბუნების დაცვისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების საკითხებზე, აწყობს ლექციებსა და საუბრებს, გამოცემს სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, პლაკატებს;

— ყოველწლიურად ატარებს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის ერთთვიურს, აჯამებს მის შედეგებს და სახავს ღონისძიებებს გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოფს ამ ღონისძიებათა შესრულებას; კოორდინაციას უწევს სახალხო უნივერსიტეტების მუშაობას; ატარებს დადგენილი წესით თათბირებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, კურსებს;

— ახორციელებს ღონისძიებებს ბუნების დაცვის საკითხებზე ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

15. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

16. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

— პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა, ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსთა, წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის, ზონალური ინსპექციების, საზღვაო ინსპექციის უფროსთა, რესპუბლიკური ჰიდროქიმიური ლაბორატორიის დირექტორის, ადგილობრივი ჰიდროქიმიური ლაბორატორიების გამგეთა პასუხისმგებლობას მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისათვის;

— ხელმძღვანელობს კომიტეტის მუშაობას;

— გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედ კანონთა, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქვეუწყებო ქვედანაყოფებისათვის, და ამოწმებს მათ შესრულებას; საჭირო შემთხვევებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად;

— უწესებს და უცვლის თანამდებობრივ სარგოებს კომიტეტის ცენტრალური აპარატის და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების მუშაკებს, თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— ნიშნავს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან დადგენილი წესით კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების მუშაკებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგენილი წესით წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მისი სისტემის ორგანიზაციათა წარჩინებულ მუშაკებს საპატიო წოდებათა მისანიჭებლად და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად;

— აორგანიზებს მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვას, ახორციელებს ღონისძიებებს წერილებში, საჩივრებსა და განცხადებებში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტის, კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მისი სისტემის ორგანიზაციების ან მათი მუშაკების მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით;

— პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას;

— აფინანსებს კომიტეტის საქვეუწყებო ორგანიზაციებს, რომლებიც რესპუბლიკურ ბიუჯეტზე იმყოფებიან, და კონტროლს უწევს მათს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას;

— ადგენს კომიტეტის კვარტალურ, წლიურ და პერსპექტიულ სამუშაო გეგმებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

— ამტკიცებს ცენტრალური აპარატის განყოფილებათა დებულებებს, აგრეთვე კომიტეტის საქვეუწყებო ორგანიზაციათა დებულებებს, მათს სტრუქტურასა და შტატებს;

— ხელმძღვანელობს ბუნების დაცვის საზოგადოებრივ ინსპექტორთა მუშაობას.

17. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც განაგებს წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის საკითხებს, ამავე დროს არის საქართველოს სსრ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, ხოლო საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი — საქართველოს სსრ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის განყოფილებათა უფროსები, რესპუბლიკური ჰიდროქიმიური ლაბორატორიის დირექტორი, ჰიდროქიმიურ ლაბორატორიათა გამგეები, ზონალურ ინსპექციათა უფროსები, საზღვაო ინსპექციის უფროსი ამავე დროს არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები.

წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის მთავარი სპეციალისტები, წამყვანი ინჟინრები, უფროსი ინჟინრები და ინჟინრები, ზონალურ ინსპექციათა უფროსი ინჟინრები და ინჟინრები, რომლებიც წყლის დაცვის დარგში მუშაობენ, ამავე დროს არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სახელმწიფო ინსპექტორები.

18. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდომარე), კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები და კოლეგიის წევრები კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთაგან.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური, კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის ძირითად საკითხებს, სამინისტროების, უწყებების, რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელების, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დარგში მათ მიერ გეგმებისა და დავალებების შესრულების საკითხებს, ცენტრალური აპარატისა და საქვეუწყებო ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, ისმენს კანონთა, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა, ბუნების დაცვის საკითხებზე ბრძანებათა და ინსტრუქციათა შესრულების შემოწმების შედეგებს, ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და საქვეუწყებო ორგანიზაციათა ანგარიშებს, განიხილავს კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

19. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

20. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან ერთად გამოსცემს ყოველთვიურ სამეცნიერო-საწარმოო პოპულარულ ჟურნალს „საქართველოს ბუნება“.

---

## 62 საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 12 ოქტომბრის № 625 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენების ინსტრუქციაში და დამტკიცდეს მისი ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 28 ივლისი, № 540

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 28 ივლისის № 540
დადგენილებით

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

**საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენებისა**

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ შენობებზე:

ა) 23 და 25 თებერვალს, 8 მარტს, 22 აპრილს, 1 და 2 მაისს, 9 მაისს, 7 ოქტომბერს, 7 და 8 ნოემბერს, 30 დეკემბერს;

ბ) სხვა დღესასწაულებზე და სამახსოვრო დღეებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქებისა და ქალაქის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მითითებით ან ნებართვით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება საზღვაო და შინაგანი მიმოსვლის გემებზე ზღვის წყლებში მათი ცურვისას (გემის სვლის და მისი დგომის დროს) ყოველდღე დილის 8 საათზე და დაეშვება მზის ჩასვლის შემდეგ.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა საზღვაო და შინაგანი მიმოსვლის გემებზე, ზღვის წყლებში მათი ცურვისას, აღიმართება დილის 8 საათზე ადრე და არ დაეშვება მზის ჩასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ იგი მოჩანს, შემდეგ შემთხვევებში:

მუხ. 62



№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) როცა გემი შედის ნავსადგურში და გამოდის ნავსადგურიდან;

ბ) როცა გემი ზღვაში ხვდება სამხედრო ხომალდებსა და გემებს და სხვა გემებს, რომლებზეც აღმართულია სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა, მათთან განშორებამდე.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება შენობებზე მთავარ შესასვლელთან ან სხვა საამისოდ შესაფერის ადგილას დროშის საჭერზე ან ფლაგშტოკზე.

საქართველოს სსრ აღმართული სახელმწიფო დროშის ქსოვილი მიწიდან არანაკლებ 3 მეტრ სიმაღლეზე უნდა იყოს.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა, თუ არ არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განსაკუთრებული განკარგულებანი, აღიმართება 7 საათზე და დაეშვება 24 საათის შემდეგ ან დღესასწაულის, ზეიმის ანდა სამგლოვიარო ცერემონიის დამთავრების შემდეგ.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა სამგლოვიარო მოვლენის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ან ნებართვით შეიძლება აღიმართოს სამგლოვიარო გაფორმებით.

ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშას მიებნევა 10 სანტიმეტრი სიგანის შავი ლენტი, რომლის ორივე ბოლო ჩამოიკიდება დროშის მთელ ქსოვილზე.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშასთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის ერთ ფლაგშტოკზე აღმართვისას სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშაზე მაღლა უნდა იყოს.

თუ სსრ კავშირის სახელმწიფო დროშასთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშასთან ერთად უნდა აღიმართოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან სხვა ქვეყნების სახელმწიფო დროშები, ისინი უნდა მოთავსდეს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

მხარეები განისაზღვრება შენობის ფასადისაკენ ზურგშექცევით.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა არ აღიმართება კაპიტალურად გასარემონტებელ, ავარიულ მდგომარეობაში არსებულ შენობებზე ან იმ შენობებზე, რომელთა ფასადს რემონტი უკეთდება.

10. პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში და ამ ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაცვით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შენობებზე საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის აღმართვისათვის ეკისრება ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, ხოლო საცხოვრებელ სახლებზე აღმართვისას — სახლმმართველებს და პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის მფლობელ მოქალაქეებს.

11. მეთვალყურეობას საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის ზუსტი შესრულებისადმი ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 63 საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 ავგისტოს № 596 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 ავგისტო, № 596.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 24 ავგისტოს № 596 დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი (საქგაზსახკომი) არის საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი და ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, მისი შენახვის ხარჯები გაიღება მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხებიდან, იგი არის იურიდიული პირი.

3. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზაცია, მისი საქვეუწყებო მთელი გაზის მეურნეობის ექსპლუატაცია და ამ სამუშაოების ხელმძღვანელობა.

4. ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი:

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შეიმუშავებს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აგრეთვე გაზის მეურნეობათა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის გეგმებს და დადგენილი წესით წარმოუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) განახორციელებს საქვეუწყებო, აგრეთვე საიჯარო ორგანიზაციათა ძალებით გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს და კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ დამტკიცებული გაზიფიკაციის გეგმების შესრულებას;

გ) შეასრულებს ამუშავება-გაწყობის სამუშაოებს, თბორეჟიმის პერიოდულად გამართვას, თბომოწყობილობებში (ქვაბებში, ღუმელებში, საშრობებში და ა. შ.) გაზისა და სარეზერვო სათბობის, აგრეთვე სითბოს ხარჯვის ხვედრით ნორმებს რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა შეკვეთების მიხედვით;

დ) განახორციელებს რესპუბლიკის სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების (გარდა ქ. თბილისისა) და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ობიექტების გაზიფიკაციის დაპროექტებას, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი და თხევადი გაზის გამოყენებისათვის.

ე) კონტროლს გაუწევს გაზის რაციონალურად გამოყენებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში;

ვ) მონაწილეობას მიიღებს სამინისტროებისა და უწყებებისათვის ბუნებრივი და თხევადი გაზის გამოყოფის თაობაზე მათი პერსპექტიული და წლიური განაცხადების განხილვაში;

ზ) შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებას კრებსით განაცხადებს მოწყობილობის, აპარატურის, ავტოტრანსპორტისა და მასალების შესაძენად ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის საჭიროებისათვის;

თ) განახორციელებს გაზის მეურნეობათა ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარებას, მოაწყობს გაზიფიკაციის დარგში სამამულო და საზღვარგარეთული ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას;

ი) განსაზღვრავს იმ ობიექტებს, რომლებიც გაზიფიცირებულ უნდა იქნეს; დააწესებს გაზიფიკაციის სამუშაოთა გრაფიკებს, აგრეთვე რიგითობას და შეცვლის მათ დამტკიცებული წლიური და კვარტალური გეგმების ფარგლებში;

კ) გასცემს გაზიფიკაციის თაობაზე ერთდროულ დავალებებს დამტკიცებული გეგმებისა და აპარატურის, მოწყობილობის, მასალების, ბუნებრივი და თხევადი გაზის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში, დააწესებს მათი შესრულების ვადებს;

მუხ. 63
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) გასცემს გაზიფიკაციის თაობაზე დამატებითს დავალებებს იმ შემთხვევაში თუ გეგმის გადამეტებით გამოყოფილია მოწყობილობის, აპარატურის, მასალების, ბუნებრივი და თხევადი გაზის ფონდები;

მ) განიხილავს, შეათანხმებს და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში დაამტკიცებს გაზის მეურნეობის ობიექტების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;

ნ) შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

ო) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტიპობრივ სტრუქტურას, ტიპობრივ შტატებს, მომსახურე (საწარმოო) პერსონალის რიცხოვნობასა და დროის ნორმატივებს;

პ) განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას სისტემისათვის საჭირო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე და გაანაწილებს დადგენილი წესით ახალგაზრდა სპეციალისტებს;

ჟ) მოაწყობს ხელმძღვანელი კადრების, მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლებას;

რ) საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ს) მოაწყობს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად საუწყებო და შინასაუწყებო სოციალისტურ შეჯიბრებას;

ტ) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად სისტემის საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ფასებისა და ტარიფების პროექტებს; დაამტკიცებს ამუშავება-გაწყობის სამუშაოთა პრეისკურანტებს და შინასაუწყებო კოოპერაციის წესით საქვეუწყებო საწარმოთა მიერ მიწოდებული პროდუქციის (ნახევარფაბრიკატები, კვანძები, დეტალები) ფასებს;

უ) გაითვალისწინებს მოსახლეობის მიერ ქსელის გაზის გადახარჯვას დაწესებული ნორმების გადამეტებით (ქსელის გაზის ღირებულების ანაზღაურების უმრიცხველო სისტემასთან დაკავშირებით), როგორც მოსახლეობისათვის გაზის სასარგებლო მიცემას შემოსავლის გარეშე;

ფ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს მოსახლეობის მიერ გაზის ხარჯვის ნორმებს;

ქ) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში;

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ) შეამოწმებს საწარმოების, საბინაო ფონდის გაზიფიკაციის გეგმების შესრულებას სამინისტროებისა და უწყებების მიერ და მიიღებს მათგან ინფორმაციას ამ საკითხებზე.

5. ყველა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტისა და მოსახლეობის გაზმომარაგება გამოყოფილი ფონდების შესაბამისად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზმომარაგების რეჟიმის ყოველგვარი შეცვლა ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მითითებით.

განცხადებანი გაზმომარაგების რეჟიმების შეცვლის შესახებ, რომლებიც ქვეყნდება პერიოდულ პრესაში და გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით, უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს.

6. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებულ ამოცანებს საწარმოების, საბინაო ფონდის გაზიფიკაციის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზის მეურნეობის ექსპლუატაციის დარგში განახორციელებს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით.

7. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს უფლება აქვს:

— გამოსცეს გაზის მეურნეობათა მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის წესები და ინსტრუქციები;

— მოიწვიოს დადგენილი წესით აქტივის თათბირები, რომლებზეც მოსმენილ იქნება მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმძღვანელო მითითებათა შესახებ, აგრეთვე განხილულ იქნება საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი გაზის მეურნეობების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის საკითხები;

— შეამოწმოს საწარმოების, საბინაო ფონდის გაზიფიკაციის გეგმების შესრულება სამინისტროებისა და უწყებების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ და მიიღოს მათგან ინფორმაცია ამ საკითხებზე;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს რესპუბლიკის საწარმოებისა და საბინაო ფონდის გაზიფიკაციის წესი ზემდგომი ორგანოების მოქმედი ნორმატიული აქტების გათვალისწინებით.

8. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ამასთან შემდგომ საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხ. 63
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

9. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) პერსონალურად პასუხისმგებელია საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის; განსაზღვრავს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა, სამმართველოების უფროსთა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისა და საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის გაზიფიკაციის დარგში;

ბ) უზრუნველყოფს ყველა გაზის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, გაანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების მიერ გამოყოფილ მოწყობილობას, აპარატურას, ავტოტრანსპორტსა და მასალებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის;

გ) წარადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად დადგენილი წესით მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობას შეეხება;

დ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და დააფინანსებს მათ დადგენილი წესით;

ე) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას გაზის მეურნეობებში, საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

10. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებები და ინსტრუქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შეამოწმოს მათი შესრულება;

ბ) დაამტკიცოს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოსახლეობის მიერ გაზის გამოყენების წესები;

გ) დაამტკიცოს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებანი და თანამდებობრივი ინსტრუქციები;

დ) დაამტკიცოს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების წესდებანი (დებულებანი):

ე) განიხილოს და დაამტკიცოს კრებსითი ანგარიშები და ბალანსები, მოაწყოს მეურნეობის საექსპლუატაციო საჭიროებისათვის, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების განაწილება და მათი გამოყენების აღრიცხვა, განახორციელოს შინასაუწყებო კონტროლი და ჩაატაროს დოკუმენტური რევიზიები ყველა საქვეუწყებო ორგანიზაციასა და უწყებაში;

ვ) შეიტანოს საჭირო შემთხვევებში ცვლილებანი გაზის მეურნეობათა და საწარმოთა წლიურ და კვარტალურ სამეურნეო გეგმებში საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით ისე, რომ უცვლელი დარჩეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მთლიანად საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის დამტკიცებული მაჩვენებლები;

ზ) დანიშნოს თანამდებობაზე და გაათავისუფლოს თანამდებობიდან დადგენილი წესით საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკები და საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები;

თ) შეიტანოს დადგენილი წესით ცვლილებანი საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და შტატებში საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული შტატებისა და დაწესებული ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით;

ი) დააჯილდოოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა საუკეთესო მუშაკები საპატიო სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით.

11. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

12. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით) და ამ კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის წევრთა რაოდენობასა და მის შემადგენლობას განსაზღვრავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

## 64 საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ

„საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 24 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დეწესდეს, რომ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით ან შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წესდებებით გათვალისწინებული საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა ალმები და ვიმპელები მტკიცდება საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ორგანოების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა ალმები და ვიმპელები ადრევე დამტკიცებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების აღმართვის წესებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კუთვნილებისამებრ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 აგვისტო, № 597

## 65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 219 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილებით დამტკიცებული იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის 1-ლ პუნქტს, რომელსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი, შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მუშაკებს — ზეინკალ-სანტექნიკოსებს, ელექტრიკოსებს:

— ოჯახიანებს — ცალკეული სადგომი;

— მარტოხელებს — საერთო საცხოვრებელი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 26 აგვისტო, № 608.

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1981 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-81 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 1/_{16}$,
საბეჭდი თაბახი 2,5 სააღრიცხვო თაბახი 2,5

შეკვეთა № 971 უე 04390 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართ. სტამბა.

ნ 28/195

ეროვნული
ბიბლიოთეკა